



ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (ინსტიტუტის) ენა და კულტურა დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. სამეცნიერო ცენტრი ენა და კულტურა წარმოადგენს შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის სტრუქტურაში შემავალ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს.
- 1.2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (ინსტიტუტი) ენა და კულტურა (შემდგომში ცენტრი) თავის საქმიანობას წარმართავს წინამდებარე დებულების შესაბამისად.
- 1.3. წარმოდგენილ დებულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 2. ცენტრის მიზანი და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

- 2.1. ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, კულტურის, აგრეთვე ინგლისური ენის სწავლების ხელშეწყობა და ამ სფეროთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით.
- 2.2. ხელშეწყობა იმ სახის კვლევებისა, როგორებიც არის:
 - 2.2.1. ენა და აზროვნება;
 - 2.2.2. ენა და საზოგადოება;
 - 2.2.3. ენა და მენტალიზმი;
 - 2.2.4. ენა და განათლება;
 - 2.2.5. ისტორიულ-შედარებითი მეთოდი და ენათა გენეალოგიური კვლევა;
 - 2.2.6. ქართული ენა და მსოფლიო ენები;
 - 2.2.7. ქართული ენა და კავკასიური ენები;
 - 2.2.8. ქართული ენა და ინდოევროპული ენები;
 - 2.2.9. ენობრივი უნივერსალიები და ტიპოლოგიური კვლევა ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ-სინტაქსურ და სემანტიკურ დონეთა გათვალისწინებით;
 - 2.2.10. ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის ჭრილში;
 - 2.2.11. საქართველო მსოფლიო ისტორიის კონტექსტში;
 - 2.2.12. ქართული და მსოფლიო ხელოვნების შედეგები;
 - 2.2.13. ქართული და მსოფლიო ლიტერატურის შედეგები;
 - 2.2.14. მითი და რეალობა;

- 2.2.15. ტიპოლოგიური პარალელები ქართულ და ინგლისურ ენათა მონაცემების გათვალისწინებით;
- 2.2.16. მონათესავე და ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენათა მოდელირების პრინციპები;
- 2.2.17. ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციის პრობლემები და სხვ.
- 2.2.18. თარგმანის ხელოვნება;
- 2.3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კვლევის გაღრმავება ეთნოფსიქოლოგიური ასპექტის წარმოჩენით, რაც ითვალისწინებს შემდეგი კომპონენტების ანალიზს:
 - 2.3.1. ეთნოლინგვისტიკა;
 - 2.3.2. ეთნოფსიქოლოგია ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში;
 - 2.3.3. ეთნოფსიქოლოგია და სახვითი ხელოვნება;
 - 2.3.4. ეთნომუსიკოლოგია;
 - 2.3.5. ეთნოფსიქოლოგია და ქართული ხალხური მედიცინა;
 - 2.3.6. ეთნოფსიქოლოგია და ადათ-წესები და სხვ.
- 2.4. კვლევითი პროექტებისა და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ერთობლივი ძალისხმევით, რაც ხელს შეუწყობს როგორც დარგის პოპულარიზაციას, ისე ახალგაზრდა მკვლევართა ჩამოყალიბების პროცესს.
- 2.5. სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციების (საერთაშორისო თუ ადგილობრივის) გამართვა.
- 2.6. პროფესორ-მასწავლებელთა ყოველწლიური სამეცნიერო კრებულის – „ენა და კულტურა“ – მომზადება და გამოცემა.
- 2.7. სტუდენტთა სამეცნიერო-შემოქმედებითი ჟურნალის – „ალმანახის“ – მომზადება და გამოცემა (2-3 წელიწადში ერთხელ).
- 2.8. ცენტრის ბაზაზე ცენტრის მეცნიერ - თანამშრომელთა ხელმძღვანელობით პრაქტიკას გაივლიან სკოლის სტუდენტები.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

- 3.1. ცენტრი შედგება ცენტრის ხელმძღვანელის (დირექტორისა) და სამეცნიერო პერსონალისგან.
- 3.2. საჭიროების შემთხვევაში ცენტრის ბაზაზე (ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილებით) სტრუქტურული ერთეულის სახით შესაძლებელია ახალი სამეცნიერო-კვლევითი სექტორ(ებ)ის (შემდგომში სექტორი) ჩამოყალიბება ან/და განხორციელება სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისა, რომლებსაც უხელმძღვანელებს ცენტრის დირექტორი.
- 3.3. სექტორის (პროექტის) მიზანია პრობლემურ საკითხთა კვლევა-ანალიზი კონკრეტული მიმართულების გათვალისწინებით.

მუხლი 4. ცენტრის სამეცნიერო პერსონალი

- 4.1. ცენტრის სამეცნიერო პერსონალი იქმნება სკოლის აკადემიური პერსონალისა და სხვა მეცნიერ-თანამშრომელთა მონაწილეობით. ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლად შესაძლებელია მოწვეულ იქნეს შესაბამისი დარგის სპეციალისტი (მეცნიერი), რომელსაც უნივერსიტეტში არ უკავია აკადემიური თანამდებობა.

მუხლი 5. ცენტრის გადაწყვეტილება

- 5.1. ცენტრის ესა თუ ის გადაწყვეტილება მიიღება ცენტრის წევრთა ერთობლივ სხდომაზე, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი.

- 5.2. ცენტრის წევრთა სხდომები გაიმართება საჭიროებისამებრ ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილებით ან/და წევრთა 2/3-ის მოთხოვნით. სხდომაზე განიხილება:
- 5.2.1. ცენტრის სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები;
 - 5.2.2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გეგმა-პროექტები;
 - 5.2.3. სექტორის (პროექტის) სამუშაო გეგმა;
 - 5.2.4. ცენტრის სტრუქტურის შეცვლის, აგრეთვე კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად განსაზღვრული სახსრების გამოყენების საკითხები;
 - 5.2.5. სხვა სამეცნიერო დაწესებულება-ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საკითხები;
 - 5.2.6. სექტორის (პროექტის) ხელმძღვანელისა და ცალკეულ მეცნიერთა საქმიანობის ანგარიშები;
 - 5.2.7 უცხო ქვეყნების სამეცნიერო დაწესებულება-უნივერსიტეტებთან ერთობლივი კვლევების საკითხები; ცენტრის თანამშრომელთა ანგარიშები უცხოეთში სამეცნიერო მივლინებების შესახებ.
- 5.3. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით ღია კენჭისყრის საფუძველზე.
- 5.4. სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს ცენტრის დირექტორი და სხდომის მდივანი.

მუხლი 6. ცენტრის დირექტორი

- 6.1. ცენტრის (ენა და კულტურა) დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს უნივერსიტეტის პრეზიდენტი სკოლის დეკანის წარდგინებით. ცენტრის დირექტორად შეიძლება დანიშნულ იქნეს სკოლის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელიც არის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წევრი.
- 6.2. ცენტრის დირექტორი
- 6.2.1. ხელმძღვანელობს ცენტრის საორგანიზაციო საქმიანობას;
 - 6.2.2. ცენტრის სამეცნიერო მიმართულებებს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის საბჭოს;
 - 6.2.3. ორგანიზებას უწევს სამეცნიერო პროექტების დაფინანსებას, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, სამეცნიერო ფორუმების დაგეგმვას;
 - 6.2.4. ხელს უწყობს ცენტრის სამეცნიერო კონტაქტების განვითარებას საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო-სასწავლო და სხვა პროფილის მქონე დაწესებულებებთან;
 - 6.2.5. ორგანიზებას უწევს სამეცნიერო კვლევების მომზადებასა და გამოქვეყნებას;
 - 6.2.6. სკოლის დეკანს განსახილველად წარუდგენს სექტორის (პროექტის) ხელმძღვანელის კანდიდატურას.
- 6.3. ცენტრის დირექტორი ანგარიშვალდებულია სკოლის დეკანის წინაშე.

მუხლი 7. სექტორის (პროექტის) ხელმძღვანელი

- 7.1. სექტორის (პროექტის) ხელმძღვანელი
- 7.1.1. ხელმძღვანელობს ცენტრის თემატური გეგმით გათვალისწინებულ პროექტ(ებ)ს;
 - 7.1.2. ყოველი წლის ბოლოს ცენტრის წევრთა ერთობლივ სხდომაზე წარადგენს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგებს.

მუხლი 8. მეცნიერ-თანამშრომელი

- 8.1. მეცნიერ-თანამშრომელი მონაწილეობს ცენტრის საქმიანობაში.
- 8.2. მეცნიერ-თანამშრომელს უფლება აქვს:

8.2.1. დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, მეთოდები და საშუალებები;

8.2.2. მონაწილეობა მიიღოს დაფინანსების მოსაპოვებლად კონკურსსა და სხვა ღონისძიებებში;

8.2.3. წარმართოს ნებისმიერი სახის საქმიანობა, რომელიც უკავშირდება ცენტრის მიერ დასახული ამოცანების შესრულებას.

მუხლი 9. ცენტრის ფინანსები

9.1. ცენტრის დაფინანსების წყაროა შიდა საუნივერსიტეტო და გარედან მოზიდული თანხები.

9.2. ცენტრს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი ანგარიში/ქვეანგარიში.

მუხლი 10. გარდამავალი დებულებები

10.1. ცენტრის საქმიანობის შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით.

10.2. ცენტრის ლიკვიდაციის (საქმიანობის შეწყვეტის) შემდეგ მისი ქონება რჩება უნივერსიტეტს.

მუხლი 11. ცენტრის რეკვიზიტები

საქართველო, ქ. თბილისი, 0160, მერაბ ალექსიძის 10, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი.